ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა

(2013 და 2014 წლის დასაწყისის მდგომარეობისა და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა)

2014 წელი

წინამდებარე კვლევა მომზადებულია “ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისა” (TDI) და “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის” (EMC) მიერ.

კვლევის ავტორები: ეკა ჭითანავა

გიორგი ნონიაშვილი

კვლევის ექსპერტები: ეკა ჭითანავა

თამთა მიქელაძე

რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: შანიძის ქუჩა #3, 0179, თბილისი
ტელ: (+995 32) 223 15 58
ელ. ფოსტა: humanrightsemc@gmail.com
www.emc.org.ge
Facebook: https://www.facebook.com/RIGHTSEMC?fref=ts

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
მისამართი: ალ. წულუკიძის I შესახვევი, კორპუსი #18, თბილისი
ელ. ფოსტა: tdigeorgia@gmail.com
http://tdigeorgia.wordpress.com/
Facebook: http://on.fb.me/1nbvrWH

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, TDI-ისა და EMC-ის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სარჩევი

შესავალი 3

კვლევის აქტუალობა 3

კვლევის მეთოდოლოგია 5

1. 2013 წელს სახელმწიფოს მიერ, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული თანხისა და ქონების ზოგადი მაჩვენებლები 6

1.1. 2013 წელს საქართველოს საპატრიარქოსთვის ყოველწლიური საბიუჯეტო ტრანსფერის ხარჯვის მიზნობრიობა 7

2. 2013-2014 წლებში, საქართველოს მთავრობის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების მიმოხილვა 10

2.1. 2007-2013 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობისა და მიზნობრიობის ანალიზი 10

2.2. საქართველოს მთავრობისგან და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსები და მატერიალური ქონება რელიგიური გაერთიანებებისთვის 13

2.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული სახსრები 19

3. მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების მიერ ეკლესიის დაფინანსების წესი და მასშტაბი 20

3.1. ზოგადი მიმოხილვა 20

3.2 მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ანალიზი 21

3.3. მუნიციპალიტეტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიების დაფინანსების მიმოხილვა 23

3.4. თვითმმართველი ქალაქების მიერ მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიების დაფინანსების მიმოხილვა 32

3.5. მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოს დაფინანსების დინამიკა 2009-2013 წლებში 38

3.6. 2014 წელს მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული თანხის ანალიზი 39

3.7. რელიგიური უმცირესობები....41

4. 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონების აღწერა 42

4.1. საპატრიარქოსთვის გადაცემული უძრავი ქონების გეოგრაფიული განაწილება....43

4.2. გადაცემული უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სკვერები) მიზნობრიობა 44

4.3. 2009-2013 წლებში გადაცემული უძრავი ქონების სტატისტიკური ანალიზი....45

4.4. რელიგიური უმცირესობები....46

დასკვნა 47

შესავალი

“ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტისა” (TDI) და “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის” (EMC) ერთობლივი კვლევის მიზანია, აჩვენოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა. ამ მიზნით, კვლევაში შესწავლილია, 2013-2014 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, ასევე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან და მთავრობის მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული ფინანსური რესურსებისა და სხვა მატერიალური ქონების მასშტაბი და მიზნობრიობა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების ძირითად ნაწილს საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია (შემდგომში მართლმადიდებელი ეკლესია) იღებს. სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მატერიალური მხარდაჭერა საკმაოდ მასშტაბურია და ბიუჯეტიდან დოტაციის წესით მიღებული, პირდაპირი დაფინანსების გარდა, სარეზერვო ფონდებიდან და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან თანხების მიღებასა და უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემას მოიცავს. მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი მატერიალური სიკეთის ძირითადი ნაწილი რელიგიური მიზნების განხორციელებას ხმარდება და წინააღმდეგობაში მოდის სეკულარული სახელმწიფოს პრინციპთან. მოქმედი პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო, როგორც წესი, არ ამოწმებს გადასაცემი მატერილური სიკეთის მიზნობრიობის დასაბუთებას, ბევრ შემთხვევაში კი, გადაცემის ფინანსურ დოკუმენტებში საერთოდ არ ჩანს თანხის/ქონების გადაცემის მიზანი. კვლევაში წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ, მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მოცულობის შედარებითი ანალიზი და ხელისუფლების შეცვლის შემდგომ არსებულ დინამიკას სახელმწიფოს მიდგომებში.

კვლევის აქტუალობა

საქართველოში სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საკითხი, სამართლებრივი თვალსაზრისით, სათანადოდ მოწესრიგებული არ არის და თვითნებობის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. მართლმადიდებელი ეკლესიის პირდაპირი დაფინანსების არსებული პრაქტიკის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მისთვის ფინანსებისა და ქონების გადაცემის სამართლებრივ საფუძველს. საჯარო დისკუსიებში სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების დასაბუთებას ეკლესია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული, კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლზე მითითებით ცდილობს. აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ *სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის **ფაქტობრივი მფლობელი,** იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის **ნაწილობრივ** კომპენსაციაზე.* მოცემული საკანონმდებლო ჩანაწერი თვით-შესრულებადი ნორმა არ არის, რადგან მისი აღსრულება დაკავშირებულია კონკრეტული პირობების შესრულებასთან, რომელიც ასევე კონსტიტუციური შეთანხმებით არის დადგენილი. კერძოდ, კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მეორე ნაწილი უთითებს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების,

რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად, პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს. კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის ოდენობის, კომპენსაციის მასშტაბისა და ფორმების დადგენის მიზნით, სახელმწიფოს არ შეუმუშავებია სამართლიანი პროცედურები და კრიტერიუმები, რის გამოც, სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერა სამართლებრივ საფუძველს და დასაბუთებას მოკლებულია. შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების წესი, ემსგავსება დოტაციის და არა რესტიტუციის მოდელს, როგორც ეს კონსტიტუციური შეთანხმებით არის დადგენილი. შესაბამისად, ეკლესიის წინაშე სახელმწიფო ვალდებულების ფარგლები განუსაზღვრელია და რთულდება მისი გამართლება დასაბუთებული საჯარო ინტერესით. ეკლესიის მხარდაჭერის ამგვარი პრაქტიკა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორს ურთიერთკავშირს/თანამშრომლობას აღრმავებს და საფრთხეს უქმნის სეკულარულ წონასწორობის დაცვას. დაფინანსების პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ეკლესიისთვის გადაცემული დაფინანსების მოცულობა პოლიტიკურად მნიშვნელოვან პერიოდებში (არჩევნები, პოლიტიკური კრიზისები) მატულობს, რაც პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვების ინტერესით უნდა აიხსნას. ცხადია, ამგვარი მიმართებები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე (ისევე როგორც საეკლესიო ხელისუფლების ავტონომიურობაზე) აისახება და საფრთხეს უქმნის სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის დაცვას.

აღსანიშნავია, რომ დაფინანსების გარდა, მართმადიდებელი ეკლესია და ასევე კერძო პირები, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული საგნების რეალიზებას ახდენენ, სარგებლობენ საგადასახადო (მოგების, დღგ, ასევე ქონების გადასახადი) შეღავათებით, რომელიც სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება.

ნიშანდობლივია, რომ 2014 წლის 27 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება *საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული, ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე,* რომელმაც დაადგინა ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებებისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების წესი. ამ მიზნით, სახელმწიფომ ბიუჯეტიდან 3,5 მილიონი ლარი გამოყო. აღნიშნული დადგენილება დისკრიმინაციულია, რადგან ის არ მოიცავს იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ასევე მიადგათ ზიანი. დადგენილება არ ითვალისწინებს ზიანის დაანგარიშების წესსა და იმ ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც უნდა დადგინდეს ზიანის ოდენობა. ამიტომაც, განუსაზღვრელია რელიგიური გაერთიანებების წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებების ფარგლები და ის თუ, როდისთვის ჩაითვლება ზიანი ანაზღაურებულად. ამ პირობებში, 4 კონფესიისთვის ზიანის ანაზღაურების აღნიშნული სისტემა ემსგავსება პირდაპირი დაფინანსების მოდელს, ის თვითნებურია და რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში სახელმწიფოს ჩარევის რისკებს შეიცავს.

ამ მოცემულობაში სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერა სამართლებრივი დისკურსიდან გადის და უფრო მეტად პოლიტიკურ დანიშნულებას იღებს. წინამდებარე

კვლევის მიზანი ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციებისა და იმ ცვლილების გამოვლენაა, რაც მან ხელისუფლების ტრანზიციის შემდეგ განიცადა.

კვლევის მეთოდოლოგია

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების შესწავლის მიზნით, მკვლევრებმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტის აპარატს, საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს 59 მუნიციპალიტეტისა და თბილისის ყველა რაიონულ გამგეობას.

აღნიშნულ უწყებებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილები დაეგზავნათ 2014 წლის თებერვალში. პასუხების დაგვიანებით ან არასრულად მოწოდებისა და ინფორმაციის განმეორებით გამოთხოვის გამო, მასალების დამუშავება მკვლევრებმა მოგვიანებით დაიწყეს. საკვლევი მასალა მოიცავდა: საქართველოს პრეზიდენტის აპარატის, საქართველოს მთავრობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მუნიციპალიტეტების, ხუთი თვითმმართველი ქალაქის მერიების, თბილისის 10 რაიონული გამგეობის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებს.

საჯარო ინფორმაციის სახით მიღებულ დოკუმენტებთან ერთად, კვლევის პროცესში დამუშავდა და გაანალიზდა საქართველოს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ 2013 წლის კვლევის მასალები რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ, მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, მუნიციპალიტეტების საკრებულოების საბიუჯეტო დადგენილებები.

1. 2013 წელს სახელმწიფოს მიერ, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული თანხისა და ქონების ზოგადი მაჩვენებლები

2013 წელს, სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსებამ, მთლიანობაში, 29 220 349.7 ლარი შეადგინა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების წილი თითქმის 13%-ს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მცირეა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს არ დაფიქსირდა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსური რესურსების გადაცემის შემთხვევები. განსახილველ პერიოდში, მთავრობა ეკლესიას, ძირითადად, უძრავი ქონებასა და სხვა მატერიალურ სიკეთეს გადასცემდა. ყველაზე დიდ თანხას (86%) საპატრიარქო ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიური ტრანსფერის სახით იღებს.

დიაგრამა #1 აჩვენებს სახელმწიფოს სხვადასხვა საბიუჯეტო და ფინანსური ფონდიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მასშტაბს და არ მოიცავს საპატრიარქოსთვის გადაცემული <u>უძრავი და მოძრავი ქონების</u> რაოდენობრივ მაჩვენებელს[1]

დიაგრამა #1



[1] შენიშვნა: ამასთან დიაგრამაზე არ არის ასახული ის ფინანსური სარგებელი, რომელსაც ეკლესია და მის მიერ შექმნილი ან მასთან დაკავშირებული იურიდიული პირები ეკონომიკური საქმიანობის დროს ექსკლუზიურად მათთვის დადგენილი საგადასახადო შეღავათების პირობებში იღებენ.

საკვლევ პერიოდში (2013-2014 წლის იანვარი-თებერვალი) საქართველოს საპატრიარქოსთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული უძრავი ქონების მოცულობა

აღნიშნულ პერიოდში საპატრიარქოს სულ 159 229 კვ.მ მიწა გადაეცა. თვითმმართველობებსა და მთავრობას შორის პროცენტული წილი შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა #2



1.1. 2013 წელს საქართველოს საპატრიარქოსთვის ყოველწლიური საბიუჯეტო ტრანსფერის ხარჯვის მიზნობრიობა

2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სრულად და დეტალურად არ აჩვენებს კონკრეტულად რაში და რა დანიშნულებით დაიხარჯა გადაცემული თანხა. იგი კლასიფიცირებულია გამოყოფილი გრანტების სახით და თითოეულ გრანტზე გაცემული თანხის ოდენობას აჩვენებს, რომელიც ჯამში 24 996 001 ლარს შეადგენს. თუმცა, ანგარიშის მიხედვით სახელმწიფოსა და დაინტერესებული პირებისთვის მიუწვდომელია ინფორმაცია, თუ უშუალოდ რაში და რა მიზნებისთვის დაიხარჯა კონკრეტული გრანტით გადაცემული ფინანსური რესურსი. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული გრანტების შესახებ შემდეგია:

- სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - 14 592 200 ლარი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი - 1 244 400;
- ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი - 1 858 000 ლარი;

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი - 958 400 ლარი;
- საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი - 260 800 ლარი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი - 446 900 ლარი;
- წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული, სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი - 230 000 ლარი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი - 2 000 001 ლარი;
- საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი - 1 352 300 ლარი;
- სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი - 99 900 ლარი;
- საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები - 800 000 ლარი;
- ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი - 500 000 ლარი;
- ფოთის საგანმანათლებო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის გადასაცემი გრანტი - 653 100 ლარი.

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ბიუჯეტიდან გადაცემული თანხის მიზნობრიობასთან და დასაბუთებულობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში გაჩენილი კითხვებისა და კრიტიკის საპასუხოდ, 2013 წელს საქართველოს საპატრიარქომ გამოაქვეყნა შედარებით დეტალური ფინანსური გეგმა მის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თაობაზე.[2] თუმცა, საპატრიარქოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, რეალურად კვლავ უცნობი რჩება კონკეტულად რაზე იხარჯება საბიუჯეტო სახსრები. საპატრიარქოს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, **„სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (4501) - 14 592 200 ლარი“** ერთადერთია, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია იმის გარკვევა, <u>უშუალოდ რომელ დაწესებულებებზე და</u> რა ოდენობის თანხა გაცემული *(მაგ. გელათის მეცნიერებათა აკადემია - 130 000 ლარი; თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, საღვთისმეტყველო ინსტიტუტი - 2 563 700 ლარი; საქართველოს საპატრიარქოს წმ. ილია მართლის სახ. თბილისის სკოლა - 236 000 ლარი).* სხვა გრანტების შემთხვევაში საპატრიარქო მხოლოდ რელევანტური დაწესებულებების ჩამონათვალს აქვეყნებს, მათთვის გადაცემული კონკრეტული თანხების ზუსტი მითითების გარეშე.[3]

---

[2] აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.netgazeti.ge/GE/105/News/18191/

[3] <u>შენიშვნა:</u> საპატრიარქომ თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ „ეს თანხა არ არის მიზნობრივი და მის განკარგვაში ეკლესია თავისუფალია.“ საპატრიარქოს განცხადებით, „2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით (XI მუხლი), სახელმწიფო აღიარებს XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში, კომუნისტური რეპრესიების დროს, ეკლესიისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას. [...] საპატრიარქო სახელმწიფოსგან თანხას სწორედ ამ სახით იღებს. ამდენად, იგი არ წარმოადგენს

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა აჩვენებს, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის მიზნობრიობის კატეგორიებს, რომელიც საპატრიარქომ გაასაჯაროვა.

დიაგრამა #3



თანხის განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს საპატრიარქო ცენტრალური საბიუჯეტო ტრანსფერის უდიდეს ნაწილს, 75 %-ს, სწორედ რელიგიურ განათლებაზე ხარჯავს. აღსანიშნავია, რომ 3 471 000 მილიონი იხარჯება აჭარის სასწავლებლებზე, სადაც ქართველი მუსლიმები დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი.

საპატრიარქოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ზოგჯერ შეუძლებელია საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებში დახარჯული თანხის გამიჯვნა, რადგან საპატრიარქო აღნიშნული პროექტებისთვის გამოყოფილ ჯამურ თანხას აქვეყნებს (დიაგრამაში ეს კატეგორია ცალკეა გამოყოფილი). სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებზე ერთად, თანხის 13.2% იხარჯება, ხოლო უშუალოდ სოციალურ-საქველმოქმედო პროექტებზე - მხოლოდ 8%.

დახმარებას, როგორც ეს გაფორმდა წინა ხელისუფლების მიერ, არამედ, მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებას.“

2. 2013-2014 წლებში, საქართველოს მთავრობის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ, რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების მიმოხილვა

საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისგან, ასევე, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ინდივიდუალური განკარგულებებით, წლების განმავლობაში, სახელმწიფო სტრუქტურები სრულიად საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა სახის მატერიალურ სიკეთეს გადასცემენ. პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ზოგჯერ დახმარებას სხვა რელიგიური გაერთიანებებიც იღებენ, თუმცა საპატრიარქოსთან შედარებით, ეს მაჩვენებელი მინიმალურია და ძირითადად, რელიგიურ-საკულტო დაწესებულებების მშენებლობისა და მოპირკეთებას ხმარდება.

წინამდებარე თავში შეფასებულია მთავრობისა და პრეზიდენტის მიერ, 2007-2014 წლებში, საპატრიარქოს დაფინანსებისა და სხვა ფორმით მატერიალური მხარდაჭერის პრაქტიკა. 2013-2014 წლებში, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების შეფასება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან, მათ შორის, საქართველოს მთავრობისგან, ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციისა და საქართველოს წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების საფუძველზე განხორციელდა. 2007-2012 წლების პერიოდის შეფასებისთვის კი, კვლევა ემპირიულ მასალად „მოკლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ“[4] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მომზადებულ კვლევასა და მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეყრდნობა. აღნიშნული წყაროებიდან რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული თანხებისა თუ სხვა მატერიალური სიკეთის ანალიზი აჩვენებს, რომ დაფინანსების მასშტაბი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მათ შორის, არჩევნებს, სხვადასხვა დროს გამოვლენილ პოლიტიკურ კრიზისებს უნდა უკავშირდებოდეს.

2.1. 2007-2013 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობისა და მიზნობრიობის ანალიზი

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში ასახულია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის 2007-2013 წლებში გაცემული თანხების ოდენობის დინამიკა. თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში. 2007 წლიდან 2013 წლამდე, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხა მთლიანობაში შეადგენს **10 806 207 ლარს.**

[4] http://transparency.ge/blog/mokle-mimokhilva-sakartvelos-sapatriarkos-dapinansebis-shesakheb

დიაგრამა #4

2007-2013 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება



დიაგრამა წლების მიხედვით

2007- 2013 წლების მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები

2007	7 ნოემბერი - ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული აქციის დარბევა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება; ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა; პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი გახდა ნინო ბურჯანაძე.
2008	5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები; 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები; აგვისტო - რუსეთ საქართველოს ომი;
2009	მინისტრთა კაბინეტში გადაადგილებები, საპატრიარქოს დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა, მუხროვანის ამბოხი;
2010	ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნები;
2011	რამდენიმე რელიგიურმა გაერთიანებამ „სსიპ“ სტატუსი მიიღო, რასაც ეკლესიის მიერ ორგანიზებული მასშტაბური საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა; ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული აქციები მაისში და 26 მაისის დარბევა;
2012	1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები
2013	საპრეზიდენტო არჩევნები; 17 მაისი - აიდაჰოს დღე და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ ორგანიზებული კონტრდემონსტრაცია.

2013-2014 წლებში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების ანალიზი აჩვენებს, რომ 2013 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების 100% განკუთვნილია ფოთის საკათედრო ტაძრისთვის. აღნიშნული თანხა, ერთი მხრივ, მოიცავს მშენებლობასთან

დაკავშირებულ აქტივობებს, რაზეც ეკლესიას 300 000 ლარი აქვს მიღებული, მეორე მხრივ კი, ის მოიცავს სხვა, დამატებით მიზნებს. კერძოდ, საკათედრო ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით სადღესასწაულო მსახურების საინფორმაციო-სარეკლამო რგოლის დამზადებას და ტელეეთერში განთავსებას (37 000 ლარი), ასევე დაგეგმილ ღონისძიებაზე მგზავრთა გადაყვანის ორგანიზებას (2 500 ლარი). რაც შეეხება 2014 წელს, კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემებით, საკვლევ პერიოდში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ან/და სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის თანხა არ გაცემულა.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხა გაიცემა მისთვის მიმართვის საფუძველზე. მიმართვის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პრეზიდენტი გამოსცემს ინდივიდუალურ განკარგულებას.

გადაცემების ინდივიდუალური აქტების ანალიზი აჩვენებს, რომ 2007-2013 წლებში, აღნიშნული თანხები შემდეგი მიზნობრიობით იქნა გაცემული:

დიაგრამა #5



ეკლესიის მშენებლობა, მოპირკეთება, კეთილმოწყობა: აღნიშნულ მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ გამოყოფილი თანხის 62.6% (6 743 444 ლარი) დაიხარჯა. ის მოიცავს ეკლესია-მონასტრებისა და რეზიდენციების მშენებლობას, კეთილმოწყობას, რეაბილიტაციას და საწვავით უზრუნველყოფას. თანხის უმეტესი ნაწილი მოხმარდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას. მათგან გამოირჩევა ფოთის საკათედრო ტაძარი, რომელმაც ჯამში 1 740 000 ლარი მიიღო, 2007-დან 2013 წლამდე. აღნიშნული თანხის დიდი ნაწილი - 600 000 ლარი მოხმარდა გუმბათის მოოქროებას. ანალოგიურად, გუმბათის მოოქროებისთვის დაიხარჯა 667 664 ლარი წმინდა სამების საკათედრო ტაძარში.

ფოთის საკათედრო მონასტრის გარდა, საკმაოდ დიდი ოდენობის თანხა მიიღო სარფში მდებარე წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარმა (1 550 000 ლარი) და ცაგერის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საკათედრო ტაძარმა (850 000 ლარი). რელიგიური დაწესებულებების გარდა, ფინანსდება საპატრიარქოს რეზიდენციების მშენებლობა სხვადასხვა რეგიონში. მაგალითად, ცხუმ-აფხაზეთის რეზიდენცია, ახალქალაქისა და კუმურდოს რეზიდენცია.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიზნობრიობით გადაცემული თანხების 35% 2008 წლის ვადამდელი არჩევნების პერიოდზე მოდის. აღნიშნულ პერიოდში, პრეზიდენტის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა.

სხვადასხვა მოძრავი ქონების შესყიდვა: 2007 წლიდან 2013 წლამდე, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან უძრავი ქონების შესაძენად გაიცა 2 191 710 ლარი, რაც მთლიანი გამოყოფილი თანხის 20%-ს უდრის. 2008-2009 წლებში განსაზღვრული კატეგორიის 100% ავტომობილების შესყიდვაზე დაიხარჯა. მათგან ყველაზე დიდი თანხა გადაცემულია 2008 წლის 14 იანვარს - 1 693 300 ლარი. აღნიშნული თანხით სახელმწიფომ ეპარქიების მანქანები უყიდა. ამავე წლის 25 დეკემბერს გაიცა 302 400 ლარი „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადოს“ (6 ერთეული) შესაძენად.

სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსება: ამ მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 1 833 030 ლარი, რაც მთლიანი გამოყოფილი თანხის 17%-ს შეადგენს. განსახილველი კატეგორიის 74%-ს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღისადმი საიუბილეოდ მიძღვნილ ღონისძიებებს მოხმარდა (1 374 225 ლარი). კერძოდ, ამ მიზნით, 2007 წელს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ 700 000 ლარი მიიღო, 2008 წელს - 300 000 ლარი, 2012 წელს 374 225 ლარი. ამის გარდა, ამ კატეგორიაში ხვდება სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა. მაგალითად, პატრიარქის დაბადების 80 წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით დაგეგმილი კონფერენცია „შემობრუნება სულიერებისკენ“, რომელიც 230 565 ლარი დაჯდა; სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის პატრიარქის, გარეგინ II-ის დახვედრასთან დაკავშირებული ღონისძიებები (30 000 ლარი), პატრიარქის საგალობლების კომპაქტ-დისკის გამოცემა (20 000 ლარი) და ა.შ.

სოციალური პროექტები: აღნიშნული მიზნით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ გამოყოფილი თანხის 0.4% (38 023 ლარი) დაიხარჯა. აქედან, უმეტესი ნაწილი - 20 000 ლარი გადაცემულია სოფელ წავკისში მდებარე საპატრიარქოს უმწეოთა თავშესაფრის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის (2007 წ.) ხოლო დანარჩენი ნაწილი, სოფელ ძეგვის ბავშვთა სახლის რამდენმე აღსაზრდელისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენა-საკუთრებაში გადაცემისთვის, საწყის ეტაპზე მათი მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით (13 600 ლარი) და ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატის აღსაზრდელებისთვის წიგნების შეძენისთვის (4 423 ლარი).

2.2. საქართველოს მთავრობისგან და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსები და მატერიალური ქონება რელიგიური გაერთიანებებისთვის

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2013-2014 წლებში, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს თანხა მხოლოდ ერთხელ გადაეცა. 2013 წელს პატრიარქის აღსაყდრების დღესთან დაკავშირებით 270 000 ლარი დაიხარჯა.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის წინა წლებშიც გამოიყოფოდა ფულადი დახმარება. მაგ. 2012 წელს, პატრიარქის აღსაყდრების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დაიხარჯა 369 000 ლარი, რაც შემდეგ წელს იმავე ღონისძიების ხარჯს თითქმის 100 000 ლარით აღემატება. ასევე, 2009 წელს, ფონდიდან გამოყოფილია 400 000 ლარი ტელევიზია „ერთსულოვნების“ ფუნქციონირებისთვის. 2012 წელს კი 600 000 ლარი საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიისთვის.

2.2.1. 2013-2014 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული ქონების აღწერა

საქართველოს მთავრობისგან მატერიალური სიკეთის გადაცემის მოქმედი წესის მიხედვით, მათი გადაცემა ხორციელდება მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. განკარგულების გამოცემის შემდეგ, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას. როგორც წესი, ქონების გადაცემა საკუთრებაში ხორციელდება პირდაპირი მიყიდვის ფორმით - სიმბოლურ ფასად, 1 ლარად.

2013-2014 წლებში, საქართველოს მთავრობის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული ქონების შეფასება აჩვენებს, რომ უძრავი და მოძრავი ქონების ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრების უფლებით აქვს მიღებული. დაფიქსირდა მხოლოდ ებრაული თემისთვის ქონების უზუფრუქტით გადაცემის შემთხვევაც. 2013-2014 წელს საქართველოს მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას ქონება 23-ჯერ გადასცა. აქედან, მხოლოდ 2014 წლის იანვარ-მარტის თვეში, 16 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა.

2014 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ქონების მხოლოდ 31%-ის შემთხვევაშია გარკვეული ქონების გადაცემის მიზნობრიობა. 2013 წელს კი, აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია და 71%-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან 2012 წლამდე გადაცემული მატერიალური სიკეთეების მიზნობრიობის აბსოლუტური უმრავლესობა უცნობი იყო.[5]

2013 წელს მთავრობამ საპატრიარქოს გადასცა 1 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა და 3-ჯერ გადასცა მოძრავი ქონება. 2014 წელს ფიქსირდება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემის 6 შემთხვევა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის 7-ჯერ და 3-ჯერ უძრავი ქონების გადაცემის ფაქტი.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი: აღნიშნულ კატეგორიაში, მთავრობისგან საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებას მოიცავს მცხეთაში, თბილისში, სიღნაღში, კასპში არსებული სხვადასხვა ზომის მიწის ნაკვეთები. მაგალითად, ქ. მცხეთაში, 2014 წელს, 1 ლარად გადაცემულია 3 798 კვ.მ და 2 421 კვ.მ-ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლის მიზნობრიობა გაურკვეველია. მიღებული მონაცემების მიხედვით, ამ კატეგორიაში არსებული დანარჩენი მატერიალური სიკეთის მიზნობრიობაც ყველა შემთხვევაში უცნობია.

[5] 2007-2012 წლის პერიოდის შესახებ ანალიზი ეყრდნობა „საერთაშორისო-გამჭვირვალება საქართველოს“ მოპოვებულ მონაცემებს 2013 წელს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: აღნიშნული კატეგორია მოიცავს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს. მაგალითად, 2013 წელს, მან მიიღო თბილისში, ჯორბენაძის ქუჩა #3-ში მდებარე ორსართულიანი შენობა, სარდაფებით. შენობას აგრეთვე გააჩნია 268 კვ.მიწის ნაკვეთი. განკარგულების მიხედვით, მასზე უნდა განთავსდეს საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენცია. ასევე, სოფელ კობში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) 2014 წელს, მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო 100 000 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა. მოცემულ შემთხვევაში ქონების გადაცემის მიზანი გაურკვეველია.

აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში, ეკლესიას ასევე გადაეცა ქარელში მდებარე საბავშვო ბაღი და მასთან არსებული 5 533 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ შენობაში 2013 წელს ეპარქიას სურდა სასულიერო გიმნაზიის გახსნა. ხელშეკრულების თანახმად, ეპარქია ვალდებულია 15 წლის განმავლობაში ბაღისთვის ზოგად-საგანმანათლებო პროფილი შეინარჩუნოს.

მოძრავი ქონება: აღნიშნულ კატეგორიაში, მთავრობის მიერ გადაცემული ქონება მოიცავს ავტომობილებს და სხვადასხვა დანიშნულების საგნებს. 2013-2014 წლებში, მართლმადიდებელ ეკლესიას მიღებული აქვს 1 ერთეული „მერსედესის“ მარკის, ფურგონის ტიპის, მაღალი გამავლობის ავტომობილი და 2 ერთეული „ჰიუნდაის“ მარკის ავტობუსი. რაც შეეხება დანარჩენ ქონებას, მართლმადიდებელ ეკლესიას მიღებული აქვს სხვადასხვა საოფისე და საყოფაცხოვრებო ტექნიკა (მაგიდები, სკამები, ტელევიზორი, სარეცხის მანქანა და ა.შ.) ასევე, საველე აღჭურვილობა (საძილე ტომრები, კარვები, ზურგჩანთები და ა.შ). მთავრობის მიერ უძრავი ქონებების გადაცემის მიზნობრიობა, უმრავლეს შემთხვევაში, უცნობია.

2013 წელს გადაცემული უძრავი ქონების გეოგრაფიული განაწილება

დიაგრამები #6 და #7





2.2.2. 2013-2014 წლებში მთავრობის მიერ, მატერიალური სიკეთის გადაცემა სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2013-2014 წლების განმავლობაში, ფიქსირდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მთავრობამ სხვა რელიგიური გაერთიანებას გადასცა მატერიალური სიკეთე. კერძოდ, 2008 წელს, ევროპელ ებრაელთა რელიგიურ საზოგადოებას მთავრობამ გადასცა 210 კვ.მ. შენობა და მასზე მიმაგრებული 304 კვ.მ მიწის ნაკვეთი ვადიანი უზუფრუქტით დაიტვირთა, ხოლო 2013 წელს, ახალი გადაწყვეტილებით, ის უვადო უზუფრუქტით შეიცვალა.

2.2.3. საქართველოს მთავრობის მიერ, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული ქონების დინამიკა 2012-2014 წლებში

საქართველოს მთავრობის მიერ, მისი ბალანსიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების გადაცემის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ 2007-2012 წლებთან შედარებით, 2013-2014 წელს მას ნაკლები ქონება გადაეცა. 2013 წელს გადაცემის ფაქტების შემცირების მიუხედავად, 2014 წელს ჩანს ზრდის ტენდენცია. 2014 წლის პირველ ნახევარში, მან უკვე გადაუსწრო 2012 წლის მაჩვენებელს დედაქალაქში გადაცემული უძრავი ქონებით.

შედარებისთვის: 2012 წელს, საქართველოს მთავრობისგან, საქართველოს საპატრიარქოსთვის ქონების საკუთრებაში გადაცემის 13 შემთხვევა დაფიქსირდა.[6] აქედან, უძრავი ქონების 10 (სულ 147 218 კვ.მ.) და მოძრავი ქონების 2 შემთხვევა იყო. ხოლო 2011 წელს, ქონების გადაცემა დაფიქსირდა 12-ჯერ, მათგან 10 უძრავი და 2 მოძრავი ქონების გადაცემის შემთხვევა იყო.[7] წინა წლების დინამიკა აჩვენებს, რომ გადაცემული ქონების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა 2013 წლამდე. 2013 წლის შემდეგ, მან დაიკლო, ხოლო 2014 წელს კვლავ იმატა და 2013 წლის ნიშნულს გაუსწრო. თუ 2012 წელს ქონების გადაცემის 13 შემთხვევა იყო დაფიქსირებული, 2014 წლის მაისში მან უკვე 16-ს მიაღწია. *დიაგრამა #8*



[6] „საერთაშორისო გამჭვირვალება -საქართველოს“ კვლევაზე დაყრდნობით, ამ მონაცემს ემატება 5 უძრავი ქონების გადაცემა ქ.ქუთაისში, რომლის დეტალური მონაცემებიც მიუწვდომელია. შესაბამისად, მისი დათვლა ვერ მოხდა და ვერ აისახა დიაგრამაში.

[7] აღნიშნული მონაცემების გარდა, 2012 წელს დაფიქსირდა კიდევ 5 უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევა ქ.ქუთაისში, რომლის მოცულობის შესახებაც არ მოგვეპოვება ინფორმაცია. შესაბამისად, ის ვერ აისახა კვლევის ნაწილში.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი *დიაგრამა #8* აჩვენებს, 2012 წელს დედაქალაქში გადაცემული მიწის ფართი განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს აღწევს და 99.7%-ით აღემატება 2013 და 98%-ით 2014 წლის 3 თვის მონაცემს.

თუმცა, 2014 წლის 3 თვის განმავლობაში სხვა ქალაქებში უძრავი ქონების გადაცემის მაჩვენებლი იმატებს და ის 18%-ით აღემატება 2012 წლის მონაცემს. 2013 წლის მაჩვენებელი კი 2012 წლის და შესაბამისად, 2014 წლის მონაცემზე დაბალია.

მხოლოდ 2014 წლის 3 თვის განმავლობაში დაბებსა და სოფლებში გადაცემული უძრავი ქონების მაჩვენებელი რადიკალურად მატულობს და ის 90 %-ით აღემატება 2012 წლის მონაცემს. 2013 წელს მოცემულ გეოგრაფიულ არეალში უძრავი ქონების გადაცემა საერთოდ არ დაფიქსირებულა.

დიაგრამა #9



როგორც დიაგრამაზე ჩანს, 2012 წელს საპატრიარქოსთვის გადაცემული მიწის მთლიანი ფართობი (დედაქალაქი, სოფელი/დაბა, ქალაქები) 14%-ით აღემატება 2013 წელსა და 2014 წლის დასაწყისში გადაცემული უძრავი ქონების ჯამურ რაოდენობრივ მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებში გავრცელებული ტენდენცია, სასწავლო-საგანმანათლებო და სააღმზრდელო დაწესებულებების საკუთრებაში გადაცემა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის აღარ გვხვდება. 2013-2014 წლებში, მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ქ. ქარელში, ეპარქიას მოქმედი ბაღის შენობა სასულიერო სკოლის გასახსნელად გადაეცა.

საქართველოს მთავრობა მართლმადიდებელ ეკლესიას წინა წლებში გადასცემდა სხვადასხვა სპეციფიურ ტექნიკასა და საგნებს. მათ შორის, ფიქსირდებოდა თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაცემული სამხედრო ტიპის ავტომობილები, ჯავშანტექნიკის ნაწილები, 30 ტ. ცარიელი ჰილზები, სამხედრო ქვეითის აღჭურვილობა და ა.შ. საკვლევ პერიოდში მსგავსი ფაქტები არ დაფიქსირებულა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც მართლმადიდებლური ეკლესია 1 ლარად მიღებულ ქონებას ასხვისებს შესაბამისი საბაზრო ფასით.[8] ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ვერ აკონტროლებს გადაცემულ ქონებას, რადგან ის საკუთრების უფლებით არის გადაცემული.

2.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის გადაცემული სახსრები

აჭარის მთავრობის მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის თანხებისა და სხვადასხვა მატერიალური სიკეთის გადაცემა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებებით. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემები მოიცავს 2010-2013 წლების პერიოდს.[9] მოპოვებული მონაცემების მიხედვით, აჭარის მთავრობას მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის არ გადაუცია ფინანსური რესურსები ან/და მატერიალური სიკეთეები.

2013 წელს, აჭარის მთავრობამ საქართველოს საპატრიარქოს გადასცა მეორადი საოფისე ტექნიკა, რომლის საერთო ღირებულება, აუდიტის შეფასებით, 15 978 ლარს შეადგენს.

წინა წლებთან შედარებით, 2013 წლის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ აჭარის მთავრობის მიერ, ეკლესიისთვის გადაცემული ქონების მოცულობა იკლებს. აღსანიშნავია, რომ ამ წელს აჭარის მუნიციპალიტეტებშიც იკლებს სახსრებისა და ქონების გადაცემა. (2013 წელს, მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტს აქვს გადაცემული ქონება საქართველოს საპატრიარქოსთვის - 2005 კვ.მ მიწის ნაკვეთი)

2011 წელს, აჭარის მთავრობამ საქართველოს საპატრიარქოს გადასცა 430 000 ლარი. 2012 წელს კი მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა ქ. ბათუმში, ბესიკისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთი (1740 კვ.მ). 2010 წელს, საქართველოს საპატრიარქომ აჭარის მთავრობისგან მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შპს "ძაღლსაშენი მეურნეობის" კაპიტალიდან ამოღებული ვოლიერების შენობები და 15 სხვადასხვა ჯიშის ნაგაზი; ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქ. N 24-შიმდებარე168.8 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 702 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) ; ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. N 39-ში 2 526.23 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 4 097 კვ.მ;

[8] http://www.netgazeti.ge/GE/105/News/31369/

[9] აქედან, 2010-2012 წლების მონაცემების ანალიზი ეყრდნობა „საერთაშორისო გამჭვირვალება - საქართველოს“ 2013 წლის კვლევას

3. მუნიციპალიტეტების და თვითმმართველი ქალაქების მიერ ეკლესიის დაფინანსების წესი და მასშტაბი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

რელიგიური ორგანიზაციებისთვის თანხისა და სხვა სახის მატერიალური სიკეთის გადაცემის შესახებ საჯარო ინფორმაცია მკვლევრებმა 59 მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი) მერიებიდან გამოითხოვეს. მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, 59 მუნიციპალიტეტიდან 41 მუნიციპალიტეტმა 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხა გამოუყო საპატრიარქოს, მის ეპარქიებს, ეკლესიებს, მონასტრებს, მართლმადიდებელ სასულიერო პირებსა და საპატრიარქოს/ეპარქიების დაქვემდებარებაში არსებულ, საგანმანათლებლო დაწესებულებს ან იურიდიულ პირებს.[10] ამავე მონაცემების მიხედვით, 18 მუნიციპალიტეტის გამგეობას ფინანსური დახმარება საპატრიარქოსთვის ან სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის არ გაუწევია. არსებული მონაცემები ემთხვევა საკრებულოების პროგრამული ბიუჯეტების შესახებ გამოქვეყნებულ დადგენილებებს, გარდა ერთისა - დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ რელიგიური ორგანიზაციების ფულადი დახმარების შესახებ მკვლევრებს ინფორმაცია არ მიაწოდა. თუმცა, საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის დადგენილებაში, ქვეპროგრამა „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 04)“ 2013 წლის გასწვრივ მითითებულია 400 ლარი, 2014 წლის გრაფაში კი - 10,000 ლარი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტებისა (59) და თვითმმართველი ქალაქების მერიების მიერ, 2013 წელს, მართლმადიდებელი ეკლესიებისა და ეპარქიებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა მთლიანობაში 3 864 871 ლარს შეადგენს. აქედან, მუნიციპალიტეტების გამგეობებმა გამოყო 2 198 336 ლარი; 1 666 534.9 ლარი კი - თვითმმართველმა ქალაქებმა - თბილისი, რუსთავი და ქუთაისი.

ფინანსური დახმარების გარდა, ასევე ხშირია მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ, საპატრიარქოსთვის უძრავი და მოძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, მწვანე ზოლების, მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების გადაცემის შემთხვევები. 2013 წელს ათმა მუნიციპალიტეტმა და ორი თვითმმართველი ქალაქის მერიამ (ქუთაისი, ბათუმი) საპატრიარქოს სხვადასხვა სახის მატერიალური სიკეთე გადასცა.

[10]ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის საჭირო გახდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის რამდენჯერმე გაგზავნა, რათა მათ მითითებული დოკუმენტაცია მოეწოდებინათ. მაგალითად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტმა ორჯერ გამოგზავნა წერილი - პირველ წერილს თან არ ახლდა დოკუმენტები და თანხის გადარიცხვის უმეტესობაზე ინფორმაცია არ იყო მითითებული. ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტმა მარნეულისა და ხუჯაბის ეპარქიისთვის სხვადასხვა ნივთების სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები წერილის მხოლოდ განმეორებით გაგზავნის შემდეგ მოგვაწოდა.

3.2 მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტების ანალიზი

მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტი ითვალისწინებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიებისა და ეკლესიების დაფინანსებას კონკრეტული ქვეპროგრამების მიხედვით. აღნიშნულ ქვეპროგრამებს სპეციალური დასახელება აქვს - „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ შესაბამისი პროგრამული კოდებით -05 04; 05 05; 05 03; 05 00. ზოგჯერ, საპატრიარქოს სუბსიდირება ინტეგრირებულია ზოგადი შინაარსის პროგრამებში, *მაგალითად, „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი“; „რელიგიური და სხვა სახის საქმიანობა“; „დასვენება, კულტურა და რელიგია“.* ამ ქვეპროგრამების ზოგადი შინაარსის გამო, შეუძლებელია დადგინდეს, კონკრეტულად რელიგიური შინაარსის კომპონენტისთვის რა ოდენობის თანხაა გამოყოფილი.[11]

რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო დადგენილებებში *რელიგიური ორგანიზაციების* ნაცვლად, პირდაპირ მითითებულია *ეკლესიების დაფინანსება* (მაგ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ან კონკრეტული ეპარქია. მაგალითად, *ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიას* 2013 წლის ბიუჯეტში ექსკლუზიურად მინიჭებული აქვს პროგრამული კოდი - 05 03 01.

საინტერესოა სასულიერო პირების საჯარო პირების მიმართ დამოკიდებულება, რომელიც თანხის მოთხოვნის საფუძვლის აღწერაში ჩანს. მაგ. ვარკეთილის წმ. ილია მართლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი სამოელი (ზვიადაური) სამგორის რაიონის გამგებლის, გიორგი ხახნელიძის სახელზე, 2013 წლის 8 აპრილით დათარიღებულ განცხადებაში წერს: *„...და თქვენც სამგორის რ-ის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე თავს იმეტებთ საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, რაც ნათლად ჩანს ღვთისა და ერის წინაშე. კერძოდ, ზრუნავთ არამარტო მშენებარე ეკლესიების, არამედ კეთილმოწყობილი ტაძრების მიმართაც, რაც მართლმადიდებლური ეკლესიისადმი განასახიერებს თქვენს კეთილგანწყობას. გვჯერა თქვენი გულისხმიერების...“* სასულიერო პირები მსგავსს განცხადებებში ხშირად უთითებენ ან მიანიშნებენ, რომ ეკლესიებისა და ეპარქიების დახმარება საჯარო პირების „მართლმადიდებლური ვალია“. საპასუხოდ, სეკულარული პრინციპების სრული იგნორირებას ვხვდებით საბიუჯეტო დადგენილებებში. მაგალითად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2013 საბიუჯეტო დადგენილებაში, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მიზნობრიობის შეფასების ინდიკატორად მითითებულია *„ქრისტიანული მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცება“.*

რაც შეეხება თბილისის გამგეობების ბიუჯეტებს, აქ გამოყოფილია გრაფა - „სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები“ და რელიგიური ორგანიზაციები ამ ქვეპროგრამიდან

---

[11]მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტის 2013 წლის საბიუჯეტო დადგენილების ქვეპროგრამაში „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ მითითებულია, რომ ამ ქვეპროგრამის ფარგლებში *„განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია - მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, დაგეგმილია ზოგიერთი ტაძარის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე დაფინანსდება ა(ა)იპ " მესტიის თეატრი.“* გაურკვეველია, რატომ არის თეატრის მხარდაჭრა გათვალისწინებული რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების სქემაში.

ფინანსდება. თბილისის მერიას შედარებით მცირე ოდენობის თანხა აქვს გამოყოფილი „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამიდან და მერიის სარეზერვო ფონდიდან.

მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხა ეპარქიების, ეკლესია-მონასტრების ან ფიზიკური პირების საბანკო ანგარიშზე ირიცხება. ხშირად დაფინანსების მიმღები იურიდიული პირის ნაცვლად, ფიზიკური პირია (დოკუმენტებში მითითებულია კონკრეტული სახელები და გვარები). მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სუბსიდიისთვის გამოყოფილი 41 800 ლარიდან 34 000 ლარი გადარიცხული აქვს შემოქმედის ეპარქიის წარმომადგენელი ფიზიკური პირებისთვის (იხ. დანართი#1). წალენჯიხის მუნიციპალიტეტს კი, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის წარმომადგენელი პირებისთვის - 9 300 ლარი.

დანართი#1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია



ასლი ღედანთან სწორია
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეფექტიანობისა და შემოწმებისა
მაგული კუნჯულია

რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა 2013 წ.

№	დასახელება	ბრძანების თარიღი	ბრძანების №	ჩარიცხული თანხა	ჩარიცხვის თარიღი	გადარიცხვის დანიშნულება	ფონდის დასახელება	შენიშვნა
	2013 წელი							
1	გულადი კბილაშვილი	28.01.2013	39	5000	29.01.2013	სამება-ჯიხეთის მონასტერი	რელიგიის მხარდაჭერა	
2	აცანის წმ. ნინოს სახელობის მამათა მონასტერი	28.01.2013	40	1500	29.01.2013	აცანის წმ. ნინოს სახელობის მამათა მონასტერის საცხოვრებელი შენობის რემონტი	რელიგიის მხარდაჭერა	
3	გულადი კბილაშვილი	25.02.2013	88	7000	26.02.2013	სამება-ჯიხეთის მონასტერი	რელიგიის მხარდაჭერა	
4	შემოქმედის ეპარქია	19.03.2013	130	6000	19.03.2013	შემოქმედის ეპარქია	რელიგიის მხარდაჭერა	
5	ბესიკ გაბიძაშვილი	29.03.2013	155	230	29.03.2013	ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის ფუძნარის ღვთისმშობლის მონასტერი	რელიგიის მხარდაჭერა	
6	გულადი კბილაშვილი	01.04.2013	159	3000	01.04.2013	სამება-ჯიხეთის მონასტერი	რელიგიის მხარდაჭერა	
7	ზაზა ჟღენტი	24.04.2013	196	800	25.04.2013	ჯუნეწრის წმ. ლაზარეს ტაძარი	რელიგიის მხარდაჭერა	
8	მერაბ ფირცხალაიშვილი	01.05.2013	208	1000	02.05.2013	ოვერის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ტაძარი	რელიგიის მხარდაჭერა	
9	გულადი კბილაშვილი	26.06.2013	315	800	03.07.2013	ჯიხეთის მონასტრის მისასვლელი გზის აღდგენა	სარეზერვო ფონდი	

10	იმ "გალაქტიონ ჯოჯუა"	24.07.2013	364	1271	30.10.2013	აკეთის მაცხოვრის ტაძრისთვის ელექტრო ენერგიის მიწოდების სამუშაოები	რელიგიის მხარდაჭერა	
11	ზაზა ჯღენტი	07.08.2013	392	5000	08.08.2013	ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობა	რელიგიის მხარდაჭერა	
12	ლანჩხუთის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია	04.10.2013	505	200	04.10.2013	სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა დახმარება	რელიგიის მხარდაჭერა	
13	ზაზა ჯღენტი	04.10.2013	506	7000	07.10.2013	ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობა	რელიგიის მხარდაჭერა	
14	ზაზა ჯღენტი	12.11.2013	558	1999	13.11.2013	ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობა	რელიგიის მხარდაჭერა	
15	გულადი კბილაშვილი	28.11.2013	582	1000	29.11.2013	ჯიხეთობის ღონისძიება	სარეზერვო ფონდი	
	ჯამი:			*41800*				
	2014 წელი							
1	ზაზა ჯღენტი	21.01.2014	6	1500	22.01.2014	ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობა	რელიგიის მხარდაჭერა	
	ჯამი:			*1500*				
	სულ ჯამი:			*43300*				

შემსრულებელი: ლ. ჯვართავა

05.02.2014 წელი

ასლი დედანთან სწორია
კანცელარიის უფროსი
ეკატერინა ბაბარაბინა
ფინანსთა სამმართველოს უფროსი
მაგული ქუჩუნელია

3.3. მუნიციპალიტეტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიების დაფინანსების მიმოხილვა

3.3.1. ზოგადი მიმოხილვა

მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, 2013 წელს, 41 მუნიციპალიტეტის გამგეობებმა მართლმადიდებელ ეკლესია-მონასტრებსა და ეპარქიებს დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოუყვეს. 18 მუნიციპალიტეტის გამგეობას კი, საპატრიარქოსთვის ფინანსური დახმარება არ გაუწევია (იხ. დიაგრამა #10)

დიაგრამა #10



2013 წელს, საპატრიარქოს ყველაზე დიდი ოდენობით თანხა **იმერეთის მხარის** მუნიციპალიტეტების გამგეობებმა გადაურიცხეს - 726 040 ლარი.

მეორე ადგილზეა რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონი, **ქვემო ქართლი** - 590,045 ლარი (ამ მონაცემებში არ შედის თვითმმართველი ქალაქების მუნიციპალური ორგანოების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება). რაც შეეხება ცალკეულ მუნიციპალიტეტებს, დაფინანსების ოდენობის მხრივ, ლიდერობს **ბოლნისის მუნიციპალიტეტი**, რომელმაც 2013 წელს **ბოლნისის ეპარქიას** გადაურიცხა 312,000 ლარი.

2012 წელს აღნიშნული ეპარქიის დაფინანსება ორჯერ ნაკლები იყო - 120,000 ლარი. 2014 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში (05 04), ბოლნისის ეპარქიის დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 140,000 ლარის ოდენობის სუბსიდია.[12]

დიაგრამა #11



[12]თუმცა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებულ წერილში, ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე) ეპარქიისთვის 2013 წელს სუბსიდიის სახით, 300 ლარის გამოყოფას ითხოვს. როგორც მეუფე ეფრემი აღნიშნავს, „თანხის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია ახალი ტაძრების მშენებლობისა და ისტორიული ეკლესია-მონასტრების რესტავრაციისა და შემდგომი აღორძინება-განვითარებისთვის.“

დიაგრამა#12


ქვემო ქართლი
195770
312000
33875
10000
38400
0
მარნეული
ბოლნისი
დმანისი
თეთრიწყა...
წალკა
გარდაბანი
შიდა ქართლი
20000
100000
0
0
კასპი
ქარელი
ხაშური
გორი


მცხეთა-მთიანეთი
4119
38000
0
0
თიანეთი
მცხეთა
დუშეთი
ყაზბეგი
სამცხე-ჯავახეთი
112400
26700
35,489
21130
9209
0
ბორჯომი
ასპინძა
ნინოწმინდა
ახალციხე
ახალქალაქი
ადიგენი


კახეთი
79798
30000
1500
8988
23115
0
0
0
ყვარელი
ლაგოდეხი
სიღნაღი
თელავი
ახმეტა
გურჯაანი
დედოფლ...
საგარეჯო


იმერეთი
36500
50000
87000
168000
34000
32300
16600
70000
100000
131640
0
ბაღდათი
ჭიათურა
ხონი
ხარაგაული
ზესტაფონი
საჩხერე
თერჯოლა
ვანი
წყალტუბო
საბჭრეული
ტყიბული


რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
28560
24682
5000
0
ცაგერი
ონი
ლენტეხი
ამბროლაური


გურია
41800
57100
22500
ლანჩხუთი
ოზურგეთი
ჩოხატაური


სამეგრელო-ზემო სვანეთი
52000
50000
10362
27400
50000
2400
0
0
მესტია
მარტვილი
წალენჯიხა
ზუგდიდი
აბაშა
ხობი
ჩხოროწყუ
სენაკი

შენიშვნა: *2013 წელს, აჭარის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან საპატრიარქოსთვის ფინანსური დახმარება არ გამოყოფილა, რაც სავარაუდოდ, რეგიონის შერეული რელიგიური კომპოზიციით არის განპირობებული. თუმცა, ქალაქ ბათუმში განსხვავებული ვითარებაა. 2013 წელს, ბათუმის მერიამ საპატრიარქოს 175 042.09 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება - დეკორატიული სანათები, საბაღე სკამები, ნაგვის ურნები, საყვავილეები და მეორადი სამშენებლო მასალა გადასცა.*

ასევე, შუახევის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში ეკლესიების ფინანსური დახმარება გათვალისწინებული არ არის, თუმცა გამგეობამ საპატრიარქოს დაბა შუახევში, ოლადაურისა და ზამლეთშის თემში, ჯამში 2 005 კვ.მ მიწის ნაკვეთები გადასცა.

3.3.1. ეკლესიებისა და ეპარქიების დაფინანსების მიზნობრიობა

ადგილობრივი ბიუჯეტიდან კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია სუბსიდირების მიზნობრიობის განსაზღვრის წესი. გამგეობების მიერ მოწოდებული დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად გაურკვეველია, მართლმადიდებელი ეკლესიები, ეპარქიები და სასულიერო პირები კონკრეტულად რა მიზნებისთვის იყენებენ მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გამოყოფილ სუბსიდიას.

41 მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში, 12 მუნიციპალიტეტს (29,2%) არასრულად, ხოლო 11-ს (26,83%) საერთოდ არ აქვს მითითებული კონკრეტულად თუ რა დანიშნულებისა თუ საჭიროებისთვის ფინანსდება საპატრიარქო. მხოლოდ 18 მუნიციპალიტეტს (43,9%) აქვს სრულად მითითებული სუბსიდიის მიზნობრიობა.

დიაგრამა #13



3.3.2. დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები

41 მუნიციპალიტეტის დოკუმენტების ანალიზმა (მუნიციპალიტეტები, რომლებშიც საპატრიარქოსთვის ფინანსური დახმარება გამოიყო) აჩვენა, რომ გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხის ნახევარზე მეტის ხარჯვის მიზნობრიობა უცნობია. როგორც უკვე აღინიშნა, 11 მუნიციპალიტეტს მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოუწოდებია. 30 მუნიციპალიტეტის დოკუმენტების დიდ ნაწილში კი, დაფინანსების მიზნად ხშირად მითითებულია „სუბსიდია“ ან „დაფინანსება“, რის მიხედვითაც, ასევე შეუძლებელია განისაზღვროს თანხის გადაცემის კონკრეტული დანიშნულება. იმ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე კი, რომლებშიც სრულად თუ არასრულად არის მითითებული დაფინანსების მიზნობრიობა, (59 მუნიციპალიტეტიდან 41 მუნიციპალიტეტში) გამოიკვეთა კატეგორიები, რომლებიც საპატრიარქოს პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის.

აღნიშნული კატეგორიების მიხედვით, საბიუჯეტო თანხა ძირითადად შემდეგი მიზნებისთვის იხარჯება - **ტაძრების მშენებლობა / რეკონსტრუქცია/კეთილმოწყობა; რელიგიური დანიშნულების ნივთები და რელიგიური ღონისძიებები; კომუნალური ხარჯები; არარელიგიური დანიშნულების ნივთები; რელიგიური სასწავლებლების და სკოლა-პანსიონების დახმარება, სოციალური მსახურება.**

საინტერესოა, რომ მოცემული კატეგორიებიდან პროცენტულად ყველაზე დიდი თანხა ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაციაზე, ხოლო ყველაზე მცირე ოდენობის თანხა სოციალურ/საქველმოქმედო მსახურებაზე იხარჯება.

დიაგრამა #14



მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული თანხის ნახევარზე მეტი, 52% (1 151 230 ლარი) უცნობია კონკრეტულად რა მიზნებისთვის იხარჯება. ასეთ შემთხვევებში, გამგეობას ძირითადად მითითებული აქვს - *„სუბსიდია“ ან „ფინანსური დახმარება“.* ზოგჯერ მიზნობრიობის ნაცვლად, მუნიციპალიტეტების გამგეობები უთითებენ *მონასტერს, ტაძარს ან ეპარქიას* (მაგ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სამება-ჯიხეთის მონასტერი, შემოქმედის ეპარქია, ივერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი). ზოგი მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური წერილის მიხედვით, გამგეობას თანხის განკარგვასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია. (მაგ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი შემოქმედის ეპარქიისთვის გადარიცხული 57 100 ლარის შესახებ). აღსანიშნავია, რომ სუბსიდია/დაფინანსება ერთსა და იმავე სუბიექტზე ყოველთვიურად, ერთჯერადად, ან წელიწადში რამდენიმე ტრანსფერის სახით გაიცემა.

<u>მაგალითი:</u> ბოლნისის ეპარქიისთვის სუბსიდიის მიღების საფუძველი - თანხის მოთხოვნის წერილში არ არის მითითებული ფინანსური დახმარების მიზნობრიობა.

დანართი #2



საქართველოს საპატრიარქო
ბოლნისის ეპარქიის მმართველი

GEORGIAN PATRIARCHATE
HEAD OF BOLNISI EPARCHY

მისამართი: ბოლნისი, ათონის ქ. № 31
ტელ.:899 37 00 55

Address: 31 Atoni str., Bolnisi, Georgia
Tel.: (+995 99)37 00 55

N 43

„23“ „აპრილი“ 2013 წ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის
თავმჯდომარეს
ბ-ნ ვ. ფაღავანდიშვილს

24.04.13

მოგმართავთ თხოვნით აპრილის თვის სუბსიდიის სახით გამოგვიყოთ 25000 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

პატივისცემით, ეპარქიის ეკონომოსი!

№10/4139
24/04/13

პატივისცემით:



საგადახდო დავალება #00005

29 აპრილი 2013 წელი

გადამხდელი: ბოლნისის მუნიც. გამგ.საფ.სამ.სამს

გადამხდელის ანგარიში: GE65LB0120184309307000

გადამხდელის ბანკი: სს ლიბერთიბანკი

ბანკის კოდი: LBRTGE22

თანხა: 25,000.00

თანხა სიტყვებით: ოცდახუთი ათასი ლარი #

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი

მიმღები: საქართველოს საპატრიარქო ბოლნისის ეპარქია

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი: GE25LB0122125306297000

მიმღების ბანკი / ხაზინა: სს ლიბერთიბანკი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 29 APR 2013

გატარებულია ბანკის მიერ: 29 APR 2013

ხელმოწერა

4

№ 257

LBRTGE22

მატანსრულებელი

გადახდის დანიშნულება

სუბსიდია

დამატებითი ინფორმაცია

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა; ხარჯის სახაზინო კოდი - 8031; ვალდ.#5; ეკ. კლასიფიკაციის კოდი-25

ტაძრების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/კეთილმოწყობა: ამ მიზნით, მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი თანხის 19% (420 743 ლარი) დაიხარჯა. უმეტეს შემთხვევაში, ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებულია კონკრეტული ეკლესია ან ტაძარი, სადაც მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან კეთილმოწყობის სამუშაოები უნდა განხორციელდეს. თანხის გაცემის საფუძველი ძირითადად არის ეპარქიის ეპისკოპოსის ან სასულიერო პირის მიმართვა ან თხოვნა, რომ *„მშენებლობისთვის“* კონკრეტული ოდენობის თანხა გამოიყოს. თუმცა, წერილებს ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა თან არ ახლავს. მაგალითად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, 2013 წლის 10 აპრილს, ზაზა ჟღენტს *„ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობისთვის“* პირად ანგარიშზე 7 000 ლარი გადაურიცხა. იმავე პრობლემას ვხვდებით „რეკონსტრუქციისა“ და „კეთილმოწყობის მიზნით“ გაცემული თანხების შემთხვევაში. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოყოფილი აქვს 9 366 ლარი *"კვირაცხოვლის" ეკლესიის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის“* - კონკრეტულად რა სახის სამუშაოებია ჩასატარებელი, არ არის აღნიშნული. ზოგ მუნიციპალიტეტს კეთილმოწყობის მიზნებში მითითებული აქვს: *მონასტრის მოხატვა, სატრაპეზოს, ეზოს, გარე განათების მოწყობა, კარ-ფანჯრების გამოცვლა.*

რელიგიური დანიშნულების ნივთები და რელიგიური ღონისძიებები: მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან საპატრიარქოსთვის გამოყოფილი თანხის 8% (163 961 ლარი) რელიგიური ღონისძიებების დასაფინანსებლად, ასევე, საეკლესიო ნივთების შესაძენადაა (11 322 ლარი) გამოყოფილი. რელიგიური დანიშნულების ნივთების ჩამონათვალში შედის - ბარძიმები, სანთლები, ნაკურთხი წყლის თასი, სასაჩუქრე ჩანთა, საეკლესიო წიგნები. ზოგ მუნიციპალიტეტს მითითებული აქვს ზოგადად „საეკლესიო ნივთები“.

რაც შეეხება რელიგიურ ღონისძიებებს, ზოგჯერ, დოკუმენტებში მიზნობრიობა აღნიშნულია, თუმცა, შეუძლებელია თანხის გამოყენების კონკრეტული დანიშნულების განსაზღვრა. მაგალითად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, 2013 წელს, ლენტეხის "წმინდა გიორგის" და ჭველიერის "მთავარანგელოზის" ეკლესიებში *„ღვთისმსახურების ნორმალურად წარმართვისთვის“* ირაკლი ნიგურიანს გადაურიცხა 4 000 ლარი. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ *„პარტიარქის ვიზიტთან დაკავშირებით“,* „მართლმადიდებლურ ეკლესიებს“ გადაურიცხა 20 000 ლარი. ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიას, *სხვადასხვა რელიგიური ღონისძიების ხარჯისთვის* 37 500 ლარი გამოუყო, აბაშის მუნიციპალიტეტმა კი ჭყონდიდის ეპარქიას *რელიგიური ღონისძიებების მხარდასაჭერად* - 50

000 ლარი გადაურიცხა. იმავე ეპარქიამ მარტვილის მუნიციპალიტეტიდან სააღდგომო და სხვა რელიგიური ღონისძიებების მხარდასაჭერად 25 000 ლარი მიიღო.

კომუნალური ხარჯები: 2013 წელს მთლიანი თანხის 7% (159 067 ლარი) ეკლესიების კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად დაიხარჯა. ზოგჯერ, კონკრეტული ეპარქია ან ეკლესია მუნიციპალიტეტისგან ფიქსირებული ოდენობის სუბსიდიას იღებს, და ამ თანხის გარდა, მუნიციპალიტეტის გამგეობა საპატრიარქოსთვის იხდის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლისა და ზოგჯერ ინტერნეტის გადასახადებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნალურ გადასახადებზე შესაბამისი რესურსის მომწოდებელი კომპანიების მიერ არც საპატრიარქოსა და არც სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის შეღავათები დადგენილი არ არის. ყველა ორგანიზაცია გადასახადს ფიქსირებული ტარიფით იხდის. თუმცა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიებს კომუნალური გადასახადების ძირითად ნაწილს, ფაქტობრივად, სახელმწიფო უფარავს.

საქართველოს საპატრიარქოსა და აზერბაიჯანული ნავთობკომპანია "სოკარს" შორის, 2013 წლის 19 ოქტომბერს გაფორმდა მემორანდუმი. დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში არსებულ ყველა რელიგიური კონფესიის ობიექტებს „სოკარის“ მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირი ერთ წლის მანძილზე უფასოდ უნდა მიეღო.[13] კომპანია „სოკარმა“ TDI-ისა და EMC-ს აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მიაწოდა. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ჯერჯერობით ზუსტად არ იციან, აუნაზღაურდებათ თუ არა სრულად კომუნალური ხარჯები. [14]

არარელიგიური დანიშნულების ნივთები - 6,4% (140 683 ლარი). აღნიშნულ კატეგორიაში შედის მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა, რომლის დროსაც, გამგეობა ყიდულობს საქონელს კონკრეტული ეპარქიის ან ეკლესიისთვის, ან თანხას სხვადასხვა ნივთის, მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ელექტროტექნიკისა და სუვენირების შესაძენად გამოუყოფს.

მაგალითად, **მარნეულის** მუნიციპალიტეტმა, სადაც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები უმრავლესობაში არიან, (86,4% ეთნიკურად აზერბაიჯანელია), 2013 წლის ბოლოს, მარნეულისა და ხუჯაბის ეპარქიისთვის, 138 652 ლარის ღირებულების ნივთები შეიძინა. ნივთების ჩამონათვალში შედის: *ელექტროტექნიკა* - **კონდიციონერები, ტელევიზორი, ლაზერული პრინტერი, ლეპტოპები, მტვერსასრუტი, ჩაიდანი, ტოსტერი, ყავის აპარატი, მულტი-რობოტი და აშ;** *ავეჯი* - **წაბლის ხეში ნაკვეთი სამეუფეო სავარძელი, საოფისე ინვენტარი, რბილი ავეჯი, საძინებელი, მაგიდები, სკამები, კარადები;** ***საყოფაცხოვრებო ნივთები*** **- საძინებლის კომპლექტი, ბალიშები, ლეიბები, პლედები, შპს „ბელუქსის“ ჭურჭელი, კბილის ჯაგრისები და ა.შ.;** ***ფუფუნების საგნები*** **- ზეთისხილის მოოქროვილი ჭურჭელი, აკვარიუმი აქსესუარებითურთ და სხვ.**

---

[13]http://www.netgazeti.ge/GE/105/News/24597/

[14]იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მკვლევარებთან საუბარში აღნიშნეს, რომ მათ შესაბამისი უწყებებიდან ვერ მოიპოვეს ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება ისარგებლონ აღნიშნული შეღავათებით. რელიგიურმა ორგანიზაციამ ოფიციალური წერილით მიმართა კომპანია „სოკარს“ და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, ოფიციალური პასუხი სამინისტროდან არ მიუღიათ, თუმცა სატელეფონო საუბარში სამინისტროს წარმომადგენელმა ორგანიზაციას განუმარტა, რომ „ისინი ბენეფიციართა სიაში არ არიან“

რელიგიური სასწავლებლების, სკოლა-პანსიონების დახმარება: მუნიციპალიტეტების ფინანსური დახმარების 4,2% (94 298 ლარი) საპატრიარქოს რელიგიური ხასიათის საგანმანათლებლო საქმიანობისთვისაა გამოყოფილი. მაგალითად, სსიპ „წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიას“[15] ყვარლის მუნიციპალიტეტმა 2013 წელს 56 798 ლარი გამოუყო. აქედან, ერთი წლის განმავლობაში, სკოლის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად ხელფასის სახით, 1 555 ლარს იღებდა. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიას ჭიათურის მუნიციპალიტეტმა სამრევლო სკოლების გასახსნელად 12 500 ლარი გადაურიცხა.

სოციალური მსახურება: თანხის ყველაზე მცირე ოდენობა, 0,4%, სოციალური მსახურებისთვის იხარჯება. ამ კატეგორიის ფარგლებში, 2013 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა შემოქმედის ეპარქიას უფასო სასადილოსთვის 8,200 ლარი გამოუყო. ლანჩხუთის წმ. იოანე ნათლისმცემლის სასულიერო გიმნაზია კი, სოციალურად დაუცველი ბავშვების დასახმარებლად, 200 ლარით დაფინანსდა.

სხვადასხვა სახის მომსახურება - თანხის 3% სხვადასხვა სახის მომსახურებისთვის - „საწვავის თანხა“, „მორწმუნეების ტრანსპორტირება“ და ა.შ. იხარჯება.

3.4. თვითმმართველი ქალაქების მიერ მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრებისა და ეპარქიების დაფინანსების მიმოხილვა

2013 წელს, საპატრიარქო თვითმმართველი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) მერიების მიერ 1 666 535 ლარით დაფინანსდა (იხ. დიაგრამა #15). აქედან ყველაზე დიდი ოდენობის თანხა, მილიონ-ნახევარ ლარამდე, მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის თბილისის რაიონულმა გამგეობებმა გამოყვეს, რაც დედაქალაქის ბიუჯეტის შედარებით დიდი მოცულობით და ქალაქის მასშტაბით უნდა იყოს განპირობებული. თბილისის რაიონული გამგეობებისა და თბილისის მერიის მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი ჯამური თანხა 1 458 962 ლარს შეადგენს.

[15]უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი არ არის გიმნაზიის დაფინანსების ერთადერთი წყარო. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპატრიარქოსთვის გამოყოფილი 25 მლნ ლარიდან, სასწავლებელი 2013 წელს 250,000 ლარით დაფინანსდა (საპტრიარქოს მიერ 25 მლნ ლარის განკარგვის შესახებ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაცია). http://netgazeti.ge/GE/105/News/18191/

დიაგრამა #15



ქუთაისი

2013 წელს, ქუთაისის მერიის მიერ ქუთაის-გაენათის ეპარქიისთვის გადაცემული თანხა შეადგენს 202 430 ლარს.

ბათუმი

2013 წელს, ბათუმში საქართველოს საპატრიარქოსთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხა დოტაციის ფორმით არ გამოყოფილა. თუმცა, გადაეცა 175 042.09 ლარის მოძრავი ქონება.

რუსთავი

2013 წელს რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის, ასევე მეუფის რეზიდენციისა და ტაძრისთვის გაცემული თანხა 5 142.5 ლარს შეადგენს.

ფოთი

ფოთში, 2013 წელს, არ გვხდება არც თანხის და არც ქონების გადაცემის შემთხვევები.

3.4.1.თბილისის რაიონული გამგეობების მიერ მართლმადიდებელი ეკლესია-მონასტრების დაფინანსების პრაქტიკის მიმოხილვა

2013 წელს, თბილისის ათმა რაიონულმა გამგეობამ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, მთლიანობაში, 1 478 962 ლარი გამოუყო. გამგეობების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა ქალაქის ბიუჯეტის „სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაშია გათვალისწინებული. ზოგადად, ამ პროგრამის მიხედვით, ქალაქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უმეტესწილად, კონკრეტული ეკლესიისთვის თანხა წლის განმავლობაში მრავალჯერადად გაიცემა. მაგალითად, მთაწმინდის რაიონში კოჯრის ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტერს გადაეცა 14 000 ლარი (22.04.2013), ამავე წლის 24 ივნისს – 15 000 ლარი, 25.ივნისს – 25 000 ლარი, 12.დეკემბერს – 4,500 ლარი, რაც მთლიანობაში 58,500 ლარს შეადგენს. კრწანისის რაიონში წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას ორჯერ ჩაერიცხა 35,000 ლარი, მესამედ – 1 500 და მეოთხედ – 5 000 ლარი, ჯამში - 76 500 ლარი. ასევე, ხშირად, ერთი და იგივე ეკლესია რამდენიმე წლის განმავლობაში უწყვეტად ფინანსდება.

2013 წელს, გამგეობების „კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებისთვის“ განსაზღვრული ბიუჯეტიდან კონკრეტულად ეკლესიებისთვის პროცენტულად ყველაზე დიდი თანხა გამოიყო კრწანისის (26%), გლდანისა (10,9%) და მთაწმინდის რაიონებში (7,8%). გამგეობების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ეკლესიების დაფინანსების მოცულობების შედარებითი ანალიზი კი აჩვენებს, რომ მთაწმინდაში (315 508 ლარი), ვაკესა (201 000 ლარი) და კრწანისში (187 000 ლარი) მდებარე ეკლესიები ყველაზე მეტ დაფინანსებას იღებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 1 მარტიდან, თბილისის ტერიტორია 6-ის ნაცვლად 10 რაიონად დაიყო, რამაც შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულებისთვის თანხის მობილიზების საშუალება გაამარტივა. თუკი 2012 წელს ვაკე-საბურთალოს რაიონის ეკლესიებისთვის გამოიყო 333 800 ლარი, 2013 წელს ვაკისა და საბურთალოს რაიონებში შემავალ ეკლესიებზე გაცემული ჯამური თანხა 358 000 ლარს შეადგენს. ასევე, ისნისა და სამგორის რაიონების ეკლესიებმა 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სულ 233 454 ლარი მიიღეს, მაშინ, როცა ისანი-სამგორში 2012 წელს ეკლესიებზე გაიცა 92 700 ლარი, 2011 წელს კი - 128 000 ლარი.

რაიონების მიხედვით, ეკლესიების დაფინანსების მოცულობის ამსახველი დიაგრამა წარმოდგენილია ქვემოთ:

დიაგრამა #16



3.4.2. თბილისის მერიის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება

რაიონული გამგეობების მიერ გაწეული ფინანსური დახმარების გარდა, თბილისის მერიამ „სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამიდან და ასევე სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საპატრიარქოსა და ეკლესიებისთვის 28 000 ლარი გამოყო (იხ.ცხრილი #1).

ცხრილი #1

მაცხოვრის სახ. ნათლისღების ეკლესია	5000	ქვეპროგრამა -სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები
წმინდა ნინოს, წმინდა მირიანის და ნანას სახელობის ეკლესია	20000	ქვეპროგრამა -სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები
საქართველოს საპატრიარქო - წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახ. ტაძარი	3000	მერიის სარეზერვო ფონდი
სულ	**28,000**	

3.4.3. 2013-2014 წლებში თბილისის გამგეობების მიერ გაწეული ფინანსური დახმარება

თბილისის გამგეობების 2013-2014 წლების დაფინანსების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2014 წლის ოთხი თვის განმავლობაში, ზოგიერთ გამგეობას ეკლესიებისთვის წინა წლის ჯამურ მაჩვენებელზე მეტი თანხა აქვს გამოყოფილი. მაგ. ნაძალადევის რაიონის გამგეობას 2013 წელს - 75 000 ლარი აქვს გადარიცხული, 2014 წლის იანვარ-აპრილში კი - 100 000 ლარი; ჩუღურეთის რაიონის გამგეობისგან ეკლესიებმა 2013 წელს - 30 000 ლარი მიიღეს, ხოლო 2014 წელს -50 000 ლარი (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2.

თბილისი		
2013		**2014 (იანვარი-აპრილი)**
მთაწმინდა	315508	არ მოგვაწოდა
ვაკე	201000	43000
საბურთალო	157000	78000
კრწანისი	187000	89500
სამგორი	140500	52000
ისანი	92954	6000
დიდუბე	75000	არ მოგვაწოდა
ჩუღურეთი	30000	50000
ნაძალადევი	75000	100000
გლდანი	157000	100000
სულ:	**1,430,962**	**518,500**

3.4.4. მიზნობრივი კატეგორიები

ისევე როგორც მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაშიც გამოიკვეთა თანხის განკარგვის მიზნობრივი კატეგორიები. **თვითმმართველი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი თანხის (1 666 534.9ლარი) 55.5% (1 100 081 ლარი) ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაცია/კეთილმოწყობაზე იხარჯება. თანხის 44% -ის (729 650.5 ლარი) ხარჯვის მიზნობრიობა გაურკვეველია. კომუნალური გადასახადების დაფარვის ხვედრითი წილი (10 845 ლარი) 0,65%-ს შეადგენს**.

თბილისი: 10-დან 2-მა გამგეობამ მკვლევრებს დაფინანსების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია არ მიაწოდა, 3 მათგანის დოკუმენტაციაში კი დაფინანსების კონკრეტული მიზანი მითითებული არ არის. დანარჩენ შემთხვევაში, მერიები ეკლესია-მონასტრების კეთილმოწყობის ღონისძიებებს აფინანსებენ. აღსანიშნავია, რომ გამგეობების მიერ მოწოდებულ სიებში ბენეფიციართა შორის ზოგჯერ ეკლესიების ნაცვლად, ფიზიკური პირები არიან მოხსენიებულნი.

გამგეობების წარმომადგენლების თქმით, ეკლესიების ფინანსური დახმარების ოდენობის საკითხს, ეკლესიებიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე, გამგეობის სხდომა წყვეტს.

გამგეობების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით სასულიერო პირების განცხადებებს, სადაც ბენეფიციარები აღნიშნავენ, რომ თანხა კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის სჭირდებათ, თუმცა კონკრეტულ საჭიროებებს არ განმარტავენ (იხ. დანართი # 3).

დანართი #3


ქალბატონ: ხათუნა ბერძენიშვილს

მოქ. ...

მცხ. ...

ტელ. 577 58 58 87

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

...

...

...

თარიღი: 30. 05. 2013წ. განმცხადებელი: ...

ქუთაისი: ქუთაის-გაენათის ეპარქიისთვის გადაცემული 202 430 ლარიდან, 94% - 190 585 ლარი გამოყოფილია კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის, 6% - 10 845 ლარი კი, კომუნალური ხარჯების დასაფარად.

რუსთავი: თანხის განკარგვისა და მიზნობრიობის შესახებ რუსთავის მერიამ მკვლევრებს ინფორმაცია არ მიაწოდა, შესაბამისად, უცნობია, თუ რა მიზნებისთვის დაიხარჯა 5 142.5 ლარი.

დიაგრამა #17

თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოს დაფინანსების მიზნობრივი კატეგორიები

3.5. მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოს დაფინანსების დინამიკა 2009-2013 წლებში[16]

მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გაწეული ფინანსური დახმარების 5 წლის ანგარიშის მიხედვით, მთლიანობაში, ყველაზე დიდი ოდენობის თანხა 2010 წელს გამოიყო, მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაფინანსების მაჩვენებელმა იკლო და 2013 წელს ისევ იმატა. 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს დაფინანსება 25%-ით გაიზარდა (იხ. დიაგრამა # 18).

[16] **შენიშვნა:** ვინაიდან მკვლევარებმა თბილისის გამგეობებიდან მხოლოდ 2013-2014 წლების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვეს, ამასთანავე, 2009-2013 წლების მონაცემები არც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" კვლევაში არის ასახული, წლების მიხედვით დაფინანსების დინამიკის მიმოხილვა თბილისის მონაცემებს არ მოიცავს. 2013 წლის მონაცემები მოპოვებულია მკვლევარების მიერ საჯარო ინფორმაციის სახით, ხოლო 2009-2012 წლების ანგარიში მუნიციპალიტეტების მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული საბიუჯეტო დადგენილებებისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მონაცემებს ეყრდნობა.

დიაგრამა#18



3.6. 2014 წელს მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული თანხის ანალიზი

2014 წელს, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მერიების (თბილისის გარდა)[17] მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული თანხის ანალიზი ორი თვის (იანვარი, თებერვალი) მონაცემებს ეყრდნობა (იხ. დიაგრამა #19).

მონაცემების მიხედვით, საპატრიარქომ 2014 წლის იანვარ-თებერვალში, შიდა ქართლის მხარეში, წინა წელს გამოყოფილი თანხის 54% მიიღო: ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს 65 000 ლარი გადასცა. თანხის გადაცემის მიზნობრიობა დოკუმენტებში მითითებული არ არის.

მცხეთა-მთიანეთის მხარეში, თიანეთის მუნიციპალიტეტმა თიანეთის ეპარქიის ეკლესია-მონასტრებში კომუნალური ხარჯების დასაფარად 2 116.44 ლარი გამოყო. ამავე მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ „მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა მართლმადიდებლურ სკოლას“ 5 000 ლარი გადაურიცხა.

---

[17]თბილისის მერიამ მოგვაწოდა ხუთი თვის მონაცემები, რომელთა ანალიზი წინა თავში - 4.5.2.თბილისისგამგეობების გადაცემები, არის წარმოდგენილი.

კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა ნეკრესის ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენციებს ორი თვის განმავლობაში კომუნალური ხარჯების დაფარვის, კვების პროდუქტებისა და სამეურნეო საშუალებებით მომარაგების მიზნით 10 000 ლარი ჩაურიცხა.

სამცხე-ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტმა ახალციხის ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიას სუბსიდიის სახით, რომლის მიზნობრიობაც მითითებული არაა, 25,000 ლარი გადაურიცხა.

ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ეპისკოპოს ეფრემის წერილის (20.01.2014) საფუძველზე, 23 იანვარს, ბოლნისის ეპარქიას 25 000 ლარის ოდენობის „დეკემბრის თვის სუბსიდია“ გამოუყო.

დიაგრამა#19

2014 წელს (იანვარი, თებერვალი) მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ გამოყოფილი დაფინანსების პროცენტული წილი, 2013 წელთან შეფარდებით



3.7. რელიგიური უმცირესობები

საპატრიარქო და მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიები, ეკლესია-მონასტრები და სასულიერო პირები თვითმმართველობის ორგანოებიდან დაფინანსებას რელიგიური ორგანიზაციების დახმარებისთვის განკუთვნილი პროგრამიდან იღებენ. თუმცა, საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს შორის, აშკარა პრივილეგიით საპატრიარქო სარგებლობს.

2013 წელს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი ჯამური თანხის (3 896 139 ლარი) 99,2% - 3 864 871 ლარი, მართლმადიდებელ ეპარქიებსა და ეკლესიებზე გადანაწილდა, დანარჩენი კონფესიებისთვის გაწეული ფინანსური დახმარება კი მინიმალურია და 31 268.16 ლარს, მთლიანი თანხის 0,8% შეადგენს.

2013 წელს, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს გარდა, მუნიციპალიტეტების გამგეობებმა და თბილისის მერიამ დაფინანსება 7 რელიგიურ ორგანიზაციას გამოუყო (იხ. ცხრილი #3).

ცხრილი #3

რელიგიური უმცირესობები (2013)		
მუნიციპალიტეტი	**რელიგიური გაერთიანება/ობიექტი**	**თანხა**
მარნეულის მუნიციპალიტეტი	მეჩეთები	856
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	საქართველოში სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის ეპარქია	8978.8
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	აღმოსავლეთ ევროპის სომეხ კათოლიკეთა ორდინარიატი	565.13
თბილისი	საქართველოს ებრაელთა კავშირი	3000
თბილისი	ევროპელ ებრაელთა რელიგიური საზოგადოება	3000
თბილისი	ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	5000
თბილისი	დიაკვნის ევანგელურ-ლუთერული საზოგადოება	9868.23
მუნიციპალიტეტები		**10,399.93**
სულ:		**31,268.16**

რაც შეეხება დაფინანსების მიზნობრიობას, თბილისში რელიგიურ უმცირესობებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხა კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად გამოეყოთ, (კოტე აფხაზის ქ.#45-სა და ტყავის ჩიხი, 1-ლ შესახვევში #3 მდებარე სინაგოგების კეთილმოწყობითი სამუშაოებისთვის, აბესაძის ქუჩაზე მდებარე კათოლიკური ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად). ახალქალაქსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში კი, საბიუჯეტო თანხით რამდენიმე არამართლმადიდებლური ეკლესიისა და მეჩეთის კომუნალური ხარჯები იფარება.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს მუსლიმები შეადგენენ, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქის საბიუჯეტო პროგრამა რელიგიური უმცირესობების დახმარებას არ ითვალისწინებს.

4. 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონების აღწერა

2013-2014 წლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაცემული ქონების შეფასება აჩვენებს, რომ უძრავი და მოძრავი ქონება მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს აქვს მიღებული. საპატრიარქოსთვის გადაცემული მატერიალური სიკეთე მიწის ნაკვეთებს, სკვერებს, შენობა-ნაგებობასა და მოძრავ ქონებას მოიცავს.

2013 წელს საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი 18 011 კვ.მ-ია (სულ 19 ნაკვეთი და სკვერი), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა (აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში 14 168კვ.მ მიწის ნაკვეთი და 565 კვ.მ ფართის შენობა), უძრავი ქონება (ქ. ჭიათურაში სამსართულიანი შენობის 1 019.65 კვ.მ ფართი); მოძრავი ქონება: ავტობუსი, ხის საწვავი მასალა, დეკორატიული სანათები, საბაღე სკამები, ნაგვის ურნები, საყვავილეები და მეორადი სამშენებლო მასალა - სულ 22 გადაცემის ფაქტი.

არსებული მონაცემების მიხედვით, გადაცემული უძრავი ქონების ღირებულება ძირითადად არ არის შეფასებული. 2013 წელს, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფართობი მთლიანობაში 32 179 კვ.მ-ს შეადგენს. 2014 წლის ორი თვის მონაცემებში უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევები არ გვხვდება.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, 2013 წელს, მოწოდებული ინფორმაციით, მათი ღირებულება მთლიანად შეადგენს 192 742 ლარს (175 042.09 ლარის ღირებულების დეკორატიული სანათები, საბაღე სკამები, ნაგვის ურნები, საყვავილეები და მეორადი სამშენებლო მასალა; 1 500 ლარის ღირებულების საწვავი მასალა; 16 200 ლარის ღირებულების ავტობუსი), ხოლო 2014 წელს - 13 400 ლარს (2 ავტომანქანა).

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: აღნიშნულ კატეგორიაში მოცემულია მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და თვითმმართველი ქალაქის მერიების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული სხვადასხვა ფართის მიწის ნაკვეთები და სკვერები. მაგალითად, **ქუთაისის მერიამ,** 2013 წელს, საპატრიარქოს გადასცა - ლ. ასათიანის ქ.N119-ის სამხრეთით 500 კვ.მ სკვერი (99 წლის ვადით); თაბუკაშვილის ქ. N205- ში 638კვ. მ. სკვერი (უვადოდ); ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში, ჯამში 3 262 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთები (99 წლის ვადით); მწვანე ზოლები: ლომთათიძის ქ. N2-ის ჩრდილოეთით - 209 კვ.მ; ხარებავას ქ. 19 ბ სამხრეთით - 1 595 კვ.მ; ჯავახიშვილის ქ.N83-ის სამხრეთით- 426კვ.მ; ახალგაზრდობის მე-7 შესახ. N4-ის დასავლეთით- 3 066 კვ.მ (99 წლის ვადით). 2013 წელს, ბათუმის მერიამ საპატრიარქოს ბათუმში 767 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები გადასცა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ბათუმის მერიის მიერ საპატრიარქოსთვის უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევები არ გვხდება.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობები: აბაშის მუნიციპალიტეტმა ჭყონდიდის ეპარქიას სოფ. მარანში, სკოლა-გიმნაზიის დასაფუძნებლად უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცა 14 168 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 565 კვ.მ ფართის შენობა.

შენობები: ჭიათურის მუნიციპალიტეტმა ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიას უსასყიდლო უზუფრუქტით 1 019.65 კვ.მ ფართის მქონე სამსართულიანი შენობა გადასცა.

მოძრავი ქონება: 2013 წელს **ბათუმის მერიამ** საპატრიარქოს 175 042.09 ლარის ღირებულების მოძრავი ქონება გადასცა, მათ შორის, 53 200 ლარის ღირებულების დეკორატიული სანათები, 9 594 ლარის ღირებულების საბაღე სკამები, ნაგვის ურნები და საყვავილეები, თანხის დანარჩენი ნაწილი კი, მშენებარე ეკლესიებისთვის მეორადი სამშენებლო მასალის (კრამიტი, ტროტუარის მოსაპირკეთებელი ფილა) შეძენაზე დაიხარჯა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2013 წელს საპატრიარქოს აჩუქა ავტობუსი - PAZ 423400 (2007 წ.; ნარჩენი ღირებულება 16,200.8 ლარი). აგრეთვე, სიღნაღის მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთ ეკლესიას გადასცა 1 500 ლარის საწვავი მასალა.

2014 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტმა რუის-ურბნისის ეპარქიას უსასყიდლო თხოვების ხელშეკრულებით, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადასცა 5 200 ლარის ღირებულების ავტომანქანა "FORD TRANSIT" და 8 200 ლარის ღირებულების ავტომანქანა "MERCEDES-BENZ 809D".

4.1. საპატრიარქოსთვის გადაცემული უძრავი ქონების გეოგრაფიული განაწილება

2013 წელს, საპატრიარქოსთვის გადაცემული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთები, სკვერები და მიწა მასზე განთავსებული შენობით) ფართობის 66 % დაბა-სოფელში გვხდება, 34 % კი ქალაქში. (იხ. დიაგრამა #21). თუმცა, ქალაქში გადაცემის მეტი შემთხვევა დაფიქსირდა (13), ვიდრე დაბა-სოფლებში (დაბა- 2, სოფელი 6)

ქალაქი - ქუთაისი (10), ბათუმი (2), წყალტუბო (1) - სულ 10 882 კვ.მ

დაბა - ჩოხატაური (1), შუახევი (1) – 915 კვ.მ

სოფელი - ოლადაური, ზამლეთი, კახიფარი, კოჭბაანი, თეთრი წყლები, მარანი (სულ 6) – 20 382 კვ.მ

დიაგრამა#21



4.2. გადაცემული უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სკვერები) მიზნობრიობა

საპატრიარქოსთვის გადაცემული ქონების მთლიანი ფართობის 52%-ის მიზნობრიობა მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში მოცემული არ არის. რაც შეეხება 48%-ს, მიწის ფართი განკუთვნილია ეკლესიისა და გიმნაზიის ასაშენებლად (იხ. დიაგრამა #22).

დიაგრამა #22



4.3. 2009-2013 წლებში გადაცემული უძრავი ქონების სტატისტიკური ანალიზი[18]

თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის 2013 წელს გადაცემული უძრავი ქონების მთლიანი ფართობი (მოიცავს მხოლოდ არასასოფლო-დანიშნულების მიწის ნაკვეთებსა და სკვერებს კვ.მ-ის დაანგარიშებით) თითქმის 2009-2012 წლების ჯამურ მაჩვენებელს უტოლდება.

2009 წელს საპატრიარქოს გადაეცა 16 112 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთები, 2010 წელს - 4 261 კვ.მ; 2011 წელს - 909.2 კვ.მ; 2012 წელს -11 044.8კვ.მ; 2013 წელს- 32 179 კვ.მ.

დიაგრამა#23



[18]2009-2012 წლის ანალიზი ეფუძნება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მონაცემებს.

4.4. რელიგიური უმცირესობები

რელიგიური უმცირესობებისთვის 2013-2014 წლებში ქონების გადაცემის შესახებ მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებს ინფორმაცია არ მოუწოდებიათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მონაცემებში, 2010 წელს, გვხდება იეზიდების თემისთვის უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევა - *2010 წელს საქართველოს იეზიდთა კავშირს გადაეცა თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, III ა და IV მ/რ-ს შორის მდებარე 1 629 კვ. მ მიწის ნაკვეთი 1 (ერთ) ლარად, მასზე ქურთული კულტურული ცენტრის აშენების და აღნიშნულ ცენტრში ქურთული და ქართული ენების, ისტორიის, კულტურის, ევროპული ენებისა და კომპიუტერული სწავლების კურსების მოწყობის მიზნით.*

დასკვნა

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში დაფინანსების პოლიტიკა არსებითად არ შეცვლილა და ის არ აკმაყოფილებს სეკულარული, დემოკრატიული, არადისკრიმინაციული და ანგარიშვალდებული დაფინანსების სისტემის მოთხოვნებს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა მართლმადიდებელი ეკლესიის პრეფერენციისა და აბსოლუტური პრივილეგირების მიდგომას ეფუძნება. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მატერიალური მხარდაჭერა დიდ მასშტაბს აღწევს, მისი საჭიროება ხშირ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული საჯარო ინტერესით, ოდენობა კი არ ეფუძნება გონივრულ, გაზომვად და ობიექტურ კრიტერიუმებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს შეიმჩნევა პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსების კლევის ტენდენცია, რაც პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, დაფინანსების არსებული ფაქტობრივი სისტემა ხელისუფლებას კვლავ აძლევს დაფინანსების გზით ეკლესიაზე ზეგავლენისა, თუ მისი ლოიალობის მოპოვების შეუზღუდავ შესაძლებლობას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სეკულარული სახელმწიფოს წესრიგს.

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გამოქვეყნებული საბიუჯეტო ტრანსფერის ხარჯვის ანგარიში არ არის დეტალური და დასაბუთებული. შესაბამისად, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება მისი მიზნობრიობის დასაბუთებულობისა და გამჭვირვალობის საკითხი. საპატრიარქოს მიერ გასაჯაროვებული მონაცემების შესაბამისად, ეკლესია საბიუჯეტო ტრანსფერის 75% რელიგიურ განათლებაზე ხარჯავს. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო დაფინანსების 14 პროცენტი ეკლესიის მიერ აჭარაში რელიგიურ განათლების უზრუნველყოფაზე იხარჯება.

2013-2014 წლებში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხების ოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს, რაც ხელისუფლების ცვლილებით და ახალ პოლიტიკურ და კონსტიტუციურ წესრიგში პრეზიდენტის პოლიტიკური წონის დასუსტებით შეიძლება აიხსნას.

წინა წლებთან შედარებით, 2013 წელს მნიშვნელოვნად იკლებს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მართმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემული თანხის ოდენობა. 2014 წელს გამოკვლეული პერიოდი (3 თვე) კი საკმაოდ მცირეა მისი შედეგების გენერალიზებისთვის და იმის საჩვენებლად, თუ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე საკადრო ცვლილებამ რა გავლენა იქონია 2013 წელს გამოვლენილ ამ ტენდენციაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მთავრობის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების გადაცემის მაჩვენებელმა ამ პერიოდში საგრძნობლად იმატა.

სარეზერვო ფონდებიდან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების კლების ტენდენციის მიუხედავად, 2014 წელს რადიკალურად გაზრდილია მთავრობის მიერ უძრავი ქონების გადაცემის მაჩვენებელი. 2014 წლის მხოლოდ 3 თვის განმავლობაში ქალაქებსა და სოფლებში მთავრობის მიერ გადაცემული უძრავი ქონების ფართობი 2013 წლის ჯამურ მონაცემს საგრძნობლად აღემატება. 2013-2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების გადაცემის 23 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან 16 შემთხვევა სწორედ 2014 წლის იანვარი-მარტის თვეზე მოდის. 2012 წელს დედაქალაქში გადაცემული მიწის ფართი განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს აღწევს და 99.7%-ით აღემატება 2013 და 98%-ით 2014 წლის

3 თვის მონაცემს. თუმცა, 2014 წლის 3 თვის განმავლობაში სხვა ქალაქებში უძრავი ქონების გადაცემის მაჩვენებლი იმატებს და ის 18%-ით აღემატება 2012 წლის მონაცემს. 2013 წლის მაჩვენებელი კი 2012 წლის და შესაბამისად, 2014 წლის მონაცემზე დაბალია. 2014 წლის 3 თვის განმავლობაში დაბებსა და სოფლებში გადაცემული უძრავი ქონების მაჩვენებელი რადიკალურად მატულობს და ის 90 %-ით აღემატება 2012 წლის მონაცემს. 2013 წელს მოცემულ გეოგრაფიულ არეალში უძრავი ქონების გადაცემა საერთოდ არ დაფიქსირებულა.

2014 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ქონების მხოლოდ 31%-ის შემთხვევაშია გარკვეული ქონების გადაცემის მიზნობრიობა, 2013 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია და 71% აღწევს. აღსანიშნავია, რომ 2007-2012 წლამდე გადაცემული მატერიალური სიკეთეების მიზნობრიობის აბსოლუტური უმრავლესობა უცნობი იყო.[19]

მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ამსახველი მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს საპატრიარქო სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით აშკარა პრივილეგიით სარგებლობს. 2013 წელს **თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ გამოყოფილი ჯამური თანხის 99,2% - 3 896 139** მართლმადიდებელ ეპარქიებსა და ეკლესიებზე გადანაწილდა, დანარჩენი კონფესიებისთვის გაწეული ფინანსური დახმარება კი, **31 268.16** ლარს, მთლიანი თანხის **0,8%** შეადგენს.

მუნიციპალიტეტების 70%ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხას სპეციალურად რელიგიური ორგანიზაციების დასახმარებლად განსაზღვრული ქვეპროგრამებიდან გამოყოფს. საპატრიარქოს დაფინანსება ასევე გათვალისწინებულია ხუთი თვითმმართველი ქალაქიდან სამი ქალაქის მერიის ბიუჯეტში. საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტებს შორის საპატრიარქოს დაფინანსების ყველაზე დიდი მოცულობა ფიქსირდება შერეული რელიგიური კომპოზიციის მუნიციპალიტეტებში, **ბოლნისსა და მარნეულში,** სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი არამართლმადიდებელია. ხაზგასასმელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხა ზოგჯერ ეპარქიებისა და ეკლესია-მონასტრების გარდა, **სასულიერო პირების პირად საბანკო ანგარიშებზე** ირიცხება.

თვითმმართველ ქალაქებს შორის, საპატრიარქოს დაფინანსების ყველაზე დიდი წილი თბილისზე მოდის, რასაც სავარაუდოდ, დედაქალაქის ბიუჯეტის მოცულობა და ქალაქის მასშტაბი განაპირობებს. 2013 წელს თბილისის 10-მა რაიონულმა გამგეობამ მართლმადიდებელ ეკლესიებს ბიუჯეტის „სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამიდან“ მთლიანობაში, მილიონ-ნახევარ ლარამდე გამოუყო.

საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსების მოდელში განსაკუთრებით პრობლემურია დაფინანსების მიზნობრიობის განსაზღვრის საკითხი. **უცნობია, თუ რა მიზნებისთვის იხარჯება მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის გამოყოფილი სუბსიდიის ნახევარზე მეტი.** ზოგჯერ, დოკუმენტებში თანხის გადარიცხვის დანიშნულება მითითებულია. ამ დოკუმენტების მიხედვით, საპატრიარქო მუნიციპალურ დაფინანსებას, ძირითადად, რელიგიური მიზნებისთვის იყენებს, მაშინ როცა სოციალურ პროექტებს საერთო თანხის მხოლოდ 1% ხმარდება. მიზნობრივი კატეგორიებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის ეკლესიების აშენება/რესტავრაციასა და დეკორატიულ სამუშაოებზე (19%). საეკლესიო დანიშნულების

[19]2007-2012 წლის პერიოდის შესახებ ანალიზი ეყრდნობა „საერთაშორისო-გამჭვირვალება საქართველოს მოპოვებულ მონაცემებს 2013 წელს.“

ნივთების შეძენასა და რელიგიური შინაარსის ღონისძიებებზე საერთო თანხის 8% იხარჯება. საპატრიარქოს პრიორიტეტები თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაშიც არ იცვლება, მერიების მიერ გამოყოფილი თანხის თითქმის 55% იხარჯება ეკლესიების მშენებლობა/რესტავრაცია/კეთილმოწყობაზე. თანხის 44%-ის მიზნობრივი დანიშნულება დოკუმენტებში მითითებული არ არის.

საინტერესოა, რომ მუნიციპალიტეტები და თბილისის გამგეობები თანხის გამოყოფის საფუძვლად კონკრეტული ეკლესიების წარმომადგენელი სასულიერო პირების მიმართვებსა და წერილებს ასახელებენ. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თანხის მოთხოვნის მიზანი, ხშირად არც სასულიერო პირის წერილშია მითითებული და იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ითხოვს

2009-2013 წლების მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების (თბილისის გარდა) დაფინანსების დინამიკა აჩვენებს, რომ მთლიანობაში ყველაზე დიდი ოდენობის თანხა 2010 წელს გამოიყო, მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაფინანსების მაჩვენებელი იკლებს და 2013 წელს ისევ იმატებს. 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს დაფინანსება თითქმის 25%-ით იზრდება. 2013-2014 წლების თბილისის გამგეობების მიერ გამოყოფილი თანხის ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ 2014 წლის მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში, ზოგიერთ გამგეობას ეკლესიებისთვის წინა წლის ჯამურ მაჩვენებელზე მეტი თანხა აქვს გამოყოფილი.

ფინანსური დახმარების გარდა, საპატრიარქო მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მერიებისგან სხვადასხვა სახის მატერიალურ სიკეთესაც იღებს: მიწის ნაკვეთებს, სკვერებს, შენობა-ნაგებობასა და მოძრავ ქონებას. 2013 წელს, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიერ საპატრიარქოსთვის გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ფართობი მთლიანობაში 32 179 კვ.მ-ს შეადგენს. რაც შეეხება მოძრავ ქონებას, 2013 წელს, მათი ღირებულება მთლიანად შეადგენს 192 742 ლარს (175 042.09 ლარის ღირებულების დეკორატიული სანათები, საბაღე სკამები, ნაგვის ურნები, საყვავილეები და მეორადი სამშენებლო მასალა; 1 500 ლარის ღირებულების საწვავი მასალა; 16 200 ლარის ღირებულების ავტობუსი) ხოლო 2014 წელს - 13 400 ლარს (2 ავტომანქანა).

გასათვალისწინებელია უძრავი ქონების გადაცემის ზრდის ტენდენცია: თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიერ საპატრიარქოსთვის 2013 წელს გადაცემული უძრავი ქონების მთლიანი ფართობი (მოიცავს მხოლოდ არასასოფლო-დანიშნულების მიწის ნაკვეთებსა და სკვერებს კვ.მ-ის დაანგარიშებით) 2009-2012 წლების ჯამურ მაჩვენებელს თითქმის უტოლდება, რაც ადგილობრივ დონეზე არსებულ ბიპოლარულ პოლიტიკურ გარემოს და 2014 წელს დაგეგმილ თვითმმართველობის არჩევნებს უნდა უკავშირდებოდეს.